ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ №22/09-01

თბილისი

„22" „სექტემბერი" 2016 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, „აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა", შემდგომში „შემსყიდველი", დირექტორის ავთანდილ იმედაძის სახით, და მეორე მხრივ, შპს„კატასტროფის მედიცინის ცენტრი" შემდგომში „მიმწოდებელი" დირექტორის, თეიმურაზ ქორიძის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე ბრძანება #13-ის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ორგანიზაციის საჭიროებისათვის საჭიროებისათვის საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურეგების (cpv კოდი: 60100000) შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული მომსახურება 1200 (ათას ორასი) ლარად. (შემდგომში `ხელშეკრულების ფასი").

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

3.1 სპეციალური დანიშნულების საავტომობილო სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურება.

3.2 პაციენტის გადაყვანა შპს„აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა"-დან„ შპს„ავერსის კლინიკა"-ში. ერთი გზის (თბილის, ვაჟა-ფშაველას გამზ. #29 დან თბილისი, ვაჟა-ფშაველას განზ 27/ბ მდე.) ღირებულება განისაზღვროს 60 (სამოცი)ლარი. მომსახურეობის ზუსტი დასახელება, რაოდენობა და ფასი წარმოდგენილი იქნება მიღება-ჩაბარების აქტით, ან/და სასაქონლო ზედნადებით, ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით.

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, 2016 წლის 22 სექტემბრიდან 27 სექტემბრამდე;

4.2. ადგილი:

4.2.1. თბილის, ვაჟა-ფშაველას გამზ. #29- დან, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ 27/ბ მდე.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2.მიწოდებულ მომსახურებაზე ანაზღაურება იწარმოება მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე(საჭიროებისამებრ);

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მოწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. „მიმწოდებელი" არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში წარუდგენს „შემსყიდველს" მიწოდებული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და 5.2 პუნქტიში მითითებულ დოკუმენტებს(საჭიროებისამებრ).

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1.უზრუნველყოს შესყიდული მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2.გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 საბანკო დღის.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1.შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2.თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ინსპექტირების პირობები

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს უფლებამოსილი პირი.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

14.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 27 ოქტომბრამდე;

15. განსაკუთრებული პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

15.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №29 ს/კ №205165453 ს.ს. „ბანკი ქართუ“ ბ/კ №CRTUGE22 ა/ა №GE87CR0000000000023402	შპს,,კატასტროფის ცენტრი“ თბილისი, წინანდალის ქ. #9 ს/კ: 404854332 ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ №BAGAGE22 ა/ა №GE29BG0000000878237900
დირექტორი ავთანდილ იმედაძე	დირექტორი თეიმურაზ ქორიძე